თეო ნეფარიძე

ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

25-29 მაისს, კავკასიის ბიზნესის სკოლის ასისტენტ-პროფესორმა თეო ნეფარიძემ მონაწილეობა მიიღო Erasmus+-ის პროგრამის აკადემიურ მობილობაში ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, გერმანია.

ვიზიტის ფარგლებში, თეო ნეფარიძემ ჩაატარა ლექციები საერთაშორისო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის კომბინირებული მეთოდით, რაც მოიცავდა სტრატეგიული მენეჯმენტის ინსტრუმენტების გაცნობას, როგორიცაა ლურჯი ოკეანის სტრატეგია და სტრატეგიული კომუნიკაციის ფუნქციების გაძლიერებას. მან ასევე გააცნო სტუდენტებს ქართული კომპანიების სტრატეგიული ინოვაციების მაგალითები. ვიზიტის შედეგად ასევე განხილულ იქნა თანამშრომლობა LMS-ზე დაფუძნებული კურსების შემუშავების საკითხზე პოტენციური საერთაშორისო სტუდენტებისთვის ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში.

ლექტორს უმასპინძლა პროფესორმა, დიტლინდ უნგერმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ლექციებიეს ორგანიზების ნაწილში. ასევე, აღსანიშნავია საერთაშორისო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მაღალი ინტერესი და აქტიური ჩართულობა ლექცია-სემინარების მიმდინარეობისას, რამაც დისკუსიები კიდევ უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახადა.